

27. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1996 წლის 26 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ დანიშნული ე. წ. საპარლამენტო არჩევნების საპირისპიროდ, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად ამა წლის 23 ნოემბერს საქართველოსა და საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი) მოეწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ და იძულებით გადაადგილებულ ამომრჩეველთა საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით – პლემბისციტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 223 ათასზე მეტმა ადამიანმა, რაც აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდე მცხოვრები ამომრჩევლების 70 პროცენტამდე შეადგენს.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამოკითხვებმა, რომელთა შორისაც ქართველებთან ერთად მრავლად იყვნენ აფხაზები, რუსები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, პრაქტიკულად ერთხმად დაგმეს აფხაზ სეპარატისტთა მიერ დანიშნული ე. წ. საპარლამენტო არჩევნები და უკანონოდ ცნეს იგი.

პლემბისციტმა დაადასტურა აფხაზ სეპარატისტთა მიერ გამართული არჩევნების არალეგიტიმურობა, ვინაიდან იგი მოეწყო აფხაზეთის კანონიერი ამომრჩევლების უმრავლესობის – აფხაზეთიდან დევნილთა, იძულებით გადაადგილებულთა ნების სრული უგულებელყოფით, აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებთა, განსაკუთრებით გალის რაიონში დარჩენილი მოსახლეობის დაშინების, ტერორის, ყალბი დაპირებისა და არნახული ფალსიფიცირებული საარჩევნო კამპანიის პირობებში.

აღნიშნული არჩევნების მოწყობა სეპარატისტული რეჟიმის მიერ მსოფლიო თანამეგობრობის სერიოზული გამოწვევაა, რაც შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის საკმაოდ გავლენიანი ძალების მხარდაუჭერლად და რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მხრივ დროული რეაგირების შემთხვევაში სეპარატისტთა დაჯგუფების მრავალნაცადმა ხერხმა – ფალსიფიკაციის მეშვეობით შეცდომაში შეყვანა როგორც აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობა, ასევე მსოფლიო საზოგადოებრიობა – ამჯერადაც ვერ გაჭრა.

საჯაროდ & nbs; გამართულმა პლემბისციტმა საბოლოოდ ახადა ფარდა სეპარატისტული რეჟიმის უშედეგო მცდელობას, რომ ფსევდოარჩევნების გზით დაეკანონებინა ეთნიკური წმენდის შედეგები.

საქართველოს & nbs; პარლამენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული არჩევნებით სეპარატისტულმა რეჟიმმა ფაქტიურად პოლიტიკური თვითმკვლელობა გამოაცხადა, რადგანაც ხელისუფლება, რომელიც არათუ არ სარგებლობს მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით, არამედ დანაშაული მიუძღვის მის ეთნიკურ წმენდაში და გენოციდში, ვერ მოიპოვებს მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან აღიარებასა და მხარდაჭრას.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს ღრმა კმაყოფილებას გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის, დსთ-სა და სხვა მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელობისადმი აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების მიერ უკანონო არჩევნების მოწყობასთან დაკავშირებით მკვეთრად გამოხატული ნეგატიური პოზიციის გამო და იმედოვნებს, რომ მათი უშუალო ხელშეწყობით დაჩქარდება აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი.

თბილისი, 1996 წლის 26 ნოემბერი

(პარლამენტის უწყებანი. საკანონმდებლო დამატება. # 29-30/5, 11 დეკემბერი 1996, გვ. 4)